სისუფთავე არის რწმენის ნახევარი, ალლაჰის ქება დიდება (ალჰამდუ ლილლაჰ) ავსებს სასწორს, სიტყვები ქება ალლაჰს (სუბჰანალლაჰ) და დიდება ალლაჰს (ალჰდამდულილლაჰ) ავსებენ სივრცეს ცასა და დედამიწას შორის

აბუუ მაალიქ ალ-აშ'არისაგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მან თქვა: ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «სისუფთავე არის რწმენის ნახევარი, ალლაჰის ქება დიდება (ალჰამდუ ლილლაჰ) ავსებს სასწორს, სიტყვები ქება ალლაჰს (სუბჰანალლაჰ) და დიდება ალლაჰს (ალჰდამდულილლაჰ) ავსებენ სივრცეს ცასა და დედამიწას შორის. ლოცვა სინათლეა, სადაყა არის მტკიცებულება და მოთმინება სინათლეა, ხოლო ყურანი არის არგუმენტი შენს სასარგებლოდ ან შენს წინაარმდეგ. ყველა ხალხი გაემართებიან დილაობით (თავიანთ საქმეებზე) და საკუთარი სულის გამყიდველი ან ათავისუფლებს მას[ჯოჯოხეთის გან] ან ღუპავს[მას ცოდვებით რის გამოც ჯოჯოხეში შევა]».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ გარეგნული სისუფთავე მიიღწევა აბდესის ან სრული განბანვის საშუალებით, და ეს სისუფთავე აუცილებელი პირობაა ლოცვის შესრულებისთვის. სიტყვები: "დიდება ალლაჰს" (ალჰამდულილლაჰ) ავსებს სასწორს, რაც დიდებულის ქების და მისი სრულყოფილი თვისებების მოხსენიებას გულისხმობს. ეს ქება სასწორზე აიწონება განსჯის დღეს და გაავსობს სასწორს საქმეებით. სიტყვები: "ალლაჰი ყოვლადწმინდაა და დიდება ალლაჰს" (სუბჰაანალლაჰ ვა ალლჰამდულილლაჰ) ეს სიტყვები გულისხმობენ ალლაჰის ნებისმიერი ნაკლის არარსებობის აღიარებას და მისი სრულყოფილების აღწერას, რაც შეეფერება მის სიდიადეს. ისინი გამოხატავენ ალლაჰის მიმართ სიყვარულს და მის განდიდებას. ამ სიტყვებს შეუძლიათ შეავსონ სივრცე ცასა და დედამიწას შორის. „ლოცვა არის სინათლე“ მორწმუნისთვის მის გულში, სახეზე, სამარესა და აღდგომის დღეს. „სადაყა არის მტკიცებულება“ მორწმუნის გულწრფელი რწმენისა, რაც მიუთითებს მის განსახვავებას თვალთმაქცისგან, რომელიც უარს ამბობს ქველმოქმედებაზე, რადგან არ სჯერა მისი დაპირებული ჯილდოსი. „მოთმინება არის ნათება“, რაც გულისხმობს საკუთარი თავის მოთოკვას სასოწარკვეთილებისა და უკმაყოფილებისგან. ეს არის სინათლე, რომელიც შეიცავს სიცხესა და დამწველობას, როგორც მზის ნათება, რადგან მოთმინება რთული და საკუთარ სურვილებთან ბრძოლის პროცესია. მოთმინების მქონე ადამიანი მუდმივად ნათდება, სწორ გზას ადგას და სწორ გადაწყვეტილებებშია. ეს მოიცავს ალლაჰის მორჩილებისას მოთმინებას, ცოდვისგან თავის შეკავებას, ასევე უბედურებებისა და ცხოვრების სხვადასხვა სირთულეების მიმართ მოთმინებას. "ყურანი არის მტკიცებულება შენს სასარგებლოდ“, თუ მას კითხულობ და მის მიხედვით ცხოვრობ, ან „მტკიცებულება შენს საწინააღმდეგოდ“, თუ მას არ ემორჩილები ან არ კითხულობ

და არ ცხოვრობ მისით. მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ ყველა ადამიანი ჩქარობს და გამოდის გარეთ სხვადასხვა საქმეებისთვის, იღვიძებს და ტოვებს სახლს მათი სხვადასხვა საქმისთვის, ამათგან ზოგი ალლაჰის მორჩილებას მიჰყვება და თავის თავს ჯოჯოხეთისგან იხსნის, ხოლო ზოგი გზააბნეულია, ცოდვებში ვარდება და ამით საკუთარ თავს განადგურებისა და ჯოჯოხეთში შესვლისაკენ უბიძგებს.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/66526